2023 წლის ივნისში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება მეორე საერთაშორისო კონფერენცია "ადრეული განათლება და ზრუნვა".

კონფერენციის ფარგლებში 6 და 7 ივნისს გათვალისწინებულია ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის პრაქტიკული სამუშაო შეხვედრები.

ვორქშოპების აღწერა

ვორქშოპის სახელწოდება - **თამაში და უფროსის როლი**

ვორქშოპის თარიღი - 6 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტეტორები: ნინო ჯიჯავაძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, ირინა შაქარაძე - ქობულეთის #6 ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა:

ვორქშოპზე მონაწილეები გაეცნობიან თამაშის მახასიათებლებს და უფროსის როლს მრავალფეროვანი თამაშების უზრუნველსაყოფად. ვორქშოპის განმავლობაში მონაწილეები ჩაერთვებიან როლურ თამაშებში შემდეგ კი იმსჯელებენ როგორი იყო უფროსის როლი თამაშის პროცესში. პრაქტიკული მაგალითების განხილვით მონაწილეებს საშუალება ექნებათ განსაზღვრონ უფროსის ჩართვის გზები. მონაწილეები ასევე გაეცნობიან თამაშის სახეობებს და საშუალება ექნებათ თავად ჩაერთონ ზოგიერთი ტიპის თამაშებში შესაბამისი რესურსის გამოყენებით.

ვორქშოპის სახელწოდება - **ინკლუზია ბაღში**

ვორქშოპის თარიღი - 6 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტატორი: თამარ საღინაძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი. ლუიზა ბერიძე - ბათუმის N34 ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა :

ვორქშოპის მიზანია მონაწილეები გაეცნონ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების თამაშისთვის სპეციფიურ სათამაშოებს/მასალებს. იმუშავებენ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ჯგუფში თამაშის ხელშეწყობაზე. ვორქშოპზე გამოყენებული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელზე დაყრდნობითაც დაგეგმავენ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთან სამუშაო მიზნებსა და სტრატეგიებს.

ვორქშოპის სახელწოდება - **პროვოკაციების დაგეგმვა ღია მასალების გამოყენებით**

ვორქშოპის თარიღი - 6 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტეტორები: თამარ ბაქრაძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, ნათია ვეზდენი - ბათუმის #34 ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა:

ვორქშოპის პირველ ნაწილში, მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას ღია მასალების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიზნებისათვის და მათი გამოყენების გზებზე , ასევე რეჯიო ემილიას პედაგოგიკის მიხედვით პროვოკაციების დაგეგმვის შესახებ. ვორქშოპის მეორე ნაწილი დაეთმობა მონაწილეების მიერ პროვოკაციების დაგეგმვას შეთავაზებული ღია მასალების გამოყენებით. მონაწილეები იმუშავებენ ოთხ ჯგუფად. ვორქშოპის ბოლო ნაწილში მოხდება დაგეგმილი პროვოკაციების ერთმანეთისათვის გაცნობა, მათი განხილვა სხვადასხვა უნარების განვითარების კუთხით.

ვორქშოპის სახელწოდება: **მუსიკალურ-რიტმული თამაშები ბავშვებისთვის და უფროსებისთვის**

ვორქშოპის თარიღი - 6 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტატორი: თამარ ჟორდანია

ვორქშოპის აღწერა :

აღნიშნულ ვორქშოპში შეყვანილია როგორც მუსიკალური ასევე რიტმული აქტივობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი განვითარების მქონე ბავშვებთან. აქტივობებში კი ისეთ მიზნებს ვეხებით, როგორებიცაა: მეხსიერების გაუმჯობესება, ყურადღების კონცენტრაცია, მოტორული და სენსორული დისბალანსი, მეტყველების პრობლემები; კოგნიტური უნარების განვითარება, შემოქმედებითობა, სივრცის შეგრძნება, კოორდინაცია, ფანტაზიის წარმოჩენა, შინაგანი შფოთვის დაძლევა, სხვისი მოსმენა, მოთმინების უნარი, რიგითობის დაცვა, ემოციის მართვა და ემოციების მიმიკებით გამოხატვა. ვორკშოპზე შესრულებული აქტივობები დახმარებას გაუწევს პროფესიონალებს – როგორც ბაღის აღმზრდელებსა თუ ბავშვების მეურვეებს, ასევე ენისა და მეტყველების თერაპევტებსა და მუსიკათერაპევტებს. ეს აქტივობები ასევე გამოადგებათ ბაღისა და სკოლის მუსიკის მასწავლებლებს, მშობლებსა და სტუდენტებს, ზოგადად, ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებს; ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს და ყველა იმ პირს, ვისაც ბავშვთან კომუნიკაცია უწევს და ჩართულია ბავშვის განვითარების პროცესში.

ვორქშოპის სახელწოდება: **დრამატული თამაშების ხელშეწყობა ადრეულ ასაკში**

ვორქშოპის თარიღი - 7 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტატორი: თამთა კუხალეიშვილი - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, დინარა ბოლქვაძე - "მწვანე ალუბალი" აღმზრდელი, ხატია კონცელიძე - ბათუმის #34 ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა :

დრამატული თამაშები მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვების კომპეტენციების განვითარებისთვის, შესაბამისად აღმზრდელმა უნდა შეძლოს მისი ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროცესში და ბავშვების მხარდაჭერა ამ ტიპის თამაშები გაართულონ და განავითარონ. ვორქშოპზე მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ გამოცადონ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დრამატული თამაში, დააკვირდნენ დრამატული თამაშის განვითარების ეტაპებს და აღმოაჩინონ აღმზრდელის როლი ამ პროცესში. განვიხილავთ აღმზრდელის სტრატეგიებს, რომლითაც შესაძლებელია ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების ხელშეწყობა დრამატული თამაშების გამოყენებით. მაგალითად სტრატეგიები როგორიც არის ფიზიკური გარემოს მართვა, ვერბალური ინსტრუქცია, მოდელირება და ა.შ

ვორქშოპის სახელწოდება - **სოციალური და ემოციური კომპეტენციების განმავითარებელი რესურსები**

ვორქშოპის თარიღი - 7 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტეტორები: ლიკა ქურციკიძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, მერი ზოიძე - ქობულეთის სოფ. ჩაისუბნის საბავშვო ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა:

ვორქშოპის პირველ ნაწილში, მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სოციალური და ემოციური უნარების წახალისების ხელშემწყობის სტრატეგიებისა და რესურსების შესახებ. ვორქშოპის ძირითადი ნაწილი დაეთმობა მონაწილე პირების მიერ განმავითარებელი რესურსების შექმნას. ვორქშოპის მონაწილეები ფასილიტატორების დახმარებით 2 ჯგუფად იმუშავებენ ა) ემოციური კომპეტენციების ბ) მეგობრობის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული რესურსების შექმნაზე. ვორქშოპის ბოლო ნაწილში მოხდება ნამუშევრების განხილვა და ერთმანეთისთვის გაცნობა.

ვორქშოპის სახელწოდება:**დაკვირვება და შეფასება ადრეული განათლების პრაქტიკაში: ეფექტური შეფასება და პორტფოლიო**

ვორქშოპის თარიღი - 7 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტატორი: ხათუნა დოლიძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, ლია რიჟვაძე - ბათუმის #34 ბაღის აღმზრდელი.

ვორქშოპის აღწერა :

ვორქშოფის მიზანია მონაწილეებს გააცნოს დაკვირვებისა და შეფასების მნიშვნელობა და ტექნიკები ადრეული განათლების პრაქტიკის ეფექტურად წარმართვაში. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ დაკვირვების მეთოდები და ტექნიკები მოსინჯონ და რეალურ სცენარებს მოარგონ. მონაწილეები ასევე შეისწავლიან დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში, მის ინდივიდუალიზაციასა და ბავშვების მხარდაჭერაში.

ვერქშოფის ფორმატი იქნება პრეზენტაციის, პრაქტიკული აქტივობებისა და ჯგუფური დისკუსიების კომბინაცია. მონაწილეებს საშუალება ექნებათ მოსინჯონ დაკვირვებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდები, მიიღონ უკუკავშირი ვერქშოფის ფასილიტატორისგან. ვერქშოფი ასევე მოიცავს შემთხვევის შესწავლას და მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაკვირვებისა და შეფასების მონაცემების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მისი ინდივიდუალიზაციისა და ბავშვების მხარდაჭერისთვის.

ვორქშოპის სახელწოდება - **ოჯახებთან თანამშრომლობა**

ვორქშოპის თარიღი-7 ივნისი

ვორქშოპის ფასილიტატორები: ნინო ჯიჯავაძე - ილიას უნივერსიტეტის ადრეული განათლების სპეციალისტი, მირანდა სურმანიძე - ბათუმის #22 ბაღის მეთოდისტი.

ვორქშოპის აღწერა:

ვორქშოპის მონაწილეებს საშუალება ექნებათ იმსჯელონ ოჯახებთან თანამშრომლობის პროცესში არსებულ გამოწვევებზე და ძირითად მიზეზებზე. მონაწილეები გაეცნობიან მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა სტრატეგიებს, სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისად შექმნიან ნამუშევრებს ოჯახებთან ურთიერთობის ხელშესაწყობად.